



HEMPADUR 85671

85671 : BASE 85675 : CURING AGENT 97371

აღწერილობა: HEMPADUR 85671 – ორკომპონენტური, ეპოქსიდ-ფენოლის მასალა მაღალი ადგეზიითა და მედეგობით მაღალი ტემპერატურის, წყლისა და ქიმიკატების მიმართ.

რეკომენდაცია
გამოყენებისათვის: გამოიყენება როგორც ცხელი წყლის, მარილიანი ხსნარებისა და ნავთობის ცისტერნების შიდა ნაწილის საფარი. ასევე შესაძლებელია გამოყენება სასმელი წყლის ცისტერნის შიდა ნაწილის საფარად.

მიწოდება: ჩართულია საერთო ასორტიმენტში. მიწოდება ხორციელდება წინასწარი შეკვეთით.

ფიზიკური მახასიათებლები:

ფერის ნომერი/ფერი:	11150* / ღია ნაცრისფერი
შესახედაობა:	გლუვი
მშრალი ნაშთი.%:	68 ± 1
თეორიული ხარჯი:	5 მ ² /ლ [200.5 sq.ft./US gallon] 200 მკმ/8 მილ
კრიტიკული წერტილი:	25 °C [77 °F]
ხვედრითი წონა:	1.7 კგ/ლ [13.9 ფუნტი/US გალონი]
გამაგრება:	4 - 6 საათი 20°C/68°F
აქროლად ნივთიერებათა რაოდენობა:	316 გ/ლ [2.6 ფუნტი/US გალონი]

**ფერითა ფართო არჩევანი ხელმისაწვდომია.*

დაფარვა:

პროდუქტის ნომერი: 85671

შერევის პროპორციები:	BASE 85675 : CURING AGENT 97371
	8.8 : 1.2 მოცულობით
	13.8 : 1.0 წონით

დაფარვის მეთოდი:	უჰაერო გაფანტვა/ფუნჯი
გამხსნელი:	HEMPEL'S THINNER 08450
საფარის სისქე, მშრალი:	100 მკმ [4 მილ]
საფარის სისქე, სველი:	150 მკმ [6 მილ]

უსაფრთხოების მეთოდები: აუცილებელია ეტიკეტსა და შეფუთვაზე მითითებული უსაფრთხოების წესების დაცვა.

ზედაპირის შესაღებად

მომზადება: აუცილებელია ფოლადი გაწმენდილ იქნას ყველანაირი ზეთის, ცხიმისა და მარილისგან შესაბამისი მასალით.

დაფარვის პირობები:

გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც დაფარვა და გამაგრება შესაძლებელია 10°-ზე მეტ ტემპერატურის პირობებში. ზედაპირის ტემპერატურა უნდა იყოს აღნიშნულზე მეტი. საღებავის ოპტიმალური ტემპერატურა შეადგენს 15°C და მეტს. საღებავის გასამაგრებლად ნესტიანობის პროცენტული მაჩვენებელი უნდა შეადგენდეს მაქსიმუმ 80%-ს, სასურველია 40-60%. აუცილებელი პირობაა ზედაპირის სიმშრალე, სისუფთავე და დახურულ სივრცეებში ვენტილაციის უზრუნველყოფა.